საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1582 2016 წლის 3 აგვისტო ქ. თბილისი

მარტვილის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიეცეს უფლება მარტვილის მუნიციპალიტეტს, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ივლისის №1340 განკარგულებით გათვალისწინებული სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო სამუშაოების და მომსახურებების შესყიდვები, 241 300 (ორას ორმოცდაერთი ათას სამასი) ლარის ფარგლებში, განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**